გამოცხადებული კონკურსები

## ევროპის ინოვაციების საბჭო (EIC)

1. ეის/EIC გარდამავალი გამოწვევა: რნმ-ზე დაფუძნებული თერაპია და დიაგნოსტიკა რთული ან იშვიათი გენეტიკური დაავადებებისთვის - 131 360 126 €
2. ეის/EIC ღია გარდამავალი - 131 360 126 €
3. ეის/EIC გარდამავალი გამოწვევა: სუფთა ენერგიის ტექნოლოგიური პროცესი და მისი სისტემაში ინტეგრაცია - 131 360 126 €
4. ევროკავშირის პრიზი მომავალი ინოვატორებისთვის - 150 000 - 300 000 €
5. ქალ ინოვატორთა ევროკავშირის პრიზი - 150 000 - 300 000 €
6. საზოგადოებების შექმნა, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ეის/EIC პორტფელების გავლენა - 1 000 000 €
7. ევროპული ინოვაციების პილოტირება - გენდერისა და მრავალფეროვნების ინდექსი - 700 000 €
8. ეის/EIC ამაჩქარებლის გამოწვევა: „55-თან შესაბამისობის“ (Fit for 55) ტექნოლოგიები - 1 167 846 081 €
9. EIC გარდამავალი გამოწვევა: მომავლის მწვანე ციფრული მოწყობილობები - 131 360 126 €
10. ეის/EIC ღია ამაჩქარებელი - 1 167 846 081 €
11. ეის/EIC ამაჩქარებლის გამოწვევა: ღია ტექნოლოგიები სტრატეგიული ავტონომიისთვის - 1 167 846 081 €
12. ეის/EIC - სტარტაპ ევროპის/Startup Europe სინერგიის გაძლიერება - 6 000 000 €
13. ეის/EIC გამკვლევის გამოწვევა: საშუალო და გრძელვადიანი სისტემების ინტეგრირება და ენერგიის შენახვა - 167 000 000 €
14. ეის/EIC გამკვლევის გამოწვევა: დნმ-ის მონაცემების ციფრული შენახვა - 167 000 000 €
15. ეის/EIC გამკვლევის გამოწვევა: კარდიოგენომიკა - 167 000 000 €
16. ეის/EIC გამკვლევის გამოწვევა - უწყვეტი ჯანდაცვა: ეპიზოდურიდან უწყვეტ ჯანდაცვაზე გადასვლის რადიკალური ტექნოლოგიები - 167 000 000 €
17. ეის/EIC გამკვლევის გამოწვევა: ნახშირბადის და აზოტის მართვა და ვალორიზაცია - 167 000 000 €
18. ეის/EIC გამკვლევის გამოწვევა: კვანტური ინფორმაციის დამუშავების, კომუნიკაციისა და სენსორიზაციის ალტერნატიული მიდგომები - 167 000 000 €
19. სტარტაპ ასოციაციების პან-ევროპული ქსელი უკრაინელი ტექნიკური ინოვატორების ევროპულ ინოვაციურ ეკოსისტემებში ინტეგრაციის მხარდასაჭერად და უკრაინაში მათი ოპერაციების გასაძლიერებლად - 20 000 000 €
20. ეის/EIC 100 ამყვანი (Scale Up 100) - 7 000 000 €

## ევროპული ინოვაციების ეკოსისტემები (EIE)

1. საინვესტიციო ეკოსისტემის გაფართოება - 5 000 000 €
2. ქალი ევროტექნოლოგი - 10 000 000 €
3. ინოვაციური ეკოსისტემების ურთიერთდაკავშირების თანადაფინანსებული სამოქმედო გეგმების განხორციელება - 8 000 000 €
4. ინოვაციური შესყიდვების სტიმულირება - 4 500 000 €

ევროპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტი (EIT) - 905 000 000 €

## ევროპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტი (EIT)

1. საინვესტიციო ეკოსისტემის გაფართოება - 5 000 000 €
2. ქალი ევროტექნოლოგი - 10 000 000 €
3. ინოვაციური ეკოსისტემების ურთიერთდაკავშირების თანადაფინანსებული სამოქმედო გეგმების განხორციელება - 8 000 000 €
4. ინოვაციური შესყიდვების სტიმულირება - 4 500 000 €

ევროპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტი (EIT) - 905 000 000 €

1. ცოდნისა და ინოვაციების საზოგადოება (KIC)
2. EIT - KIC თანმკვეთი საერთო სერვისები
3. EIT - KIC თანამკვეთი სტრატეგიული განათლება
4. EIT - KIC თემატური ინოვაციების თანაკვეთის კლასტერი
5. EIT - KIC რეგიონული ინოვაცია
6. EIT - KIC სტრატეგიული ურთიერთობა
7. EIT წარმოების ბიზნეს-გეგმა 2023-2025
8. EIT ურბანული მობილობის ბიზნეს-გეგმა 2023-2025
9. EIT - KIC თანამკვეთი სტრატეგიული წვდომა ფინანსებზე
10. EIT სასურსათო ბიზნეს-გეგმა 2023-2025
11. EIT ნედლეულის ბიზნეს-გეგმა 2023-2025
12. EIT ინოვაციური ენერგიის ბიზნეს-გეგმა 2023-2024
13. EIT - KIC თანამკვეთი სტრატეგიული სინერგია
14. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (უსდ) ინიციატივა 2023-2025
15. EIT ციფრული ბიზნეს-გეგმა 2023-2024
16. EIT ჯანდაცვის ბიზნეს-გეგმა 2023-2025
17. EIT კლიმატური KIC ბიზნეს-გეგმა 2023-2024

ჰორიზონტი ევროპა
საქართველოს ეროვნული ოფისი
მიმართულება: ინოვაციური ევროპა

საქართველო,
თბილისი, 0179,
კოსტავას ქ. 47/59

მობილ.: +995 599 26 03 77
ვებ გვერდი: http://horizoneurope.org.ge/ka




# ჰორიზონტი ევროპა

# ინოვაციური ევროპა

⇒ გაქვთ ბიზნესიდეა?

⇒ გადაწყვიტეთ საკუთარი კომპანია ახალი ენერგიითა და გამოცდილებით გაამდიდროთ?

⇒ წარმატების გეეჭვებათ?

⇒ პროცესის გეშინიათ, რადგან უამრავ რისკებს შეიცავს?

მაშინ, მიმართეთ - ჰორიზონტ ევროპის დაფინანსებას

ჰორიზონტი ევროპა
საქართველოს ეროვნული ოფისი

მობილ.: +995 599 26 03 77

## ჰორიზონტი ევროპა

**ჰე** - არის ევროკომისიის კვლევისა და ინოვაციის უმსხვილესი პროგრამა დაახლოებით € 96,899 მლრდ. ბიუჯეტით, რომელიც 6 წლის მანძილზე (2021-2027) გრანტების სახით მოხმარდება: სამეცნიერო, თუ კვლევით აღმოჩენებს; გამოგონებებსა თუ ინოვაციებს; საუკეთესო იდეების ხორცშესხმას. პროგრამის მისიაა ხელი შეუწყოს ბრწყინვალე მეცნიერებას, უპასუხოს საზოგადოებრივ და ინდუსტრიულ გამოწვევებს.

## რატომ?

მცირე და საშუალო ბიზნესს დახმარება სჭირდება, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის გასაუმჯობესებლად.

**ინოვაციური ევროპის ახალი დღის წესრიგი:**

* მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითრებისთვის იმგვარ სტრატეგიას გვთავაზობს, რომელიც ბაზარზე გასვლის დაბრკოლებებს შეამცირებს
* მცირე და საშუალო მეწარმეებს, ეკოლოგიური და ციფრული ტრანსფორმაციისთვის საჭირო ინვესტიციებისთვის მათთვის მორგებულ დაფინანსებას სთავაზობს

## როგორ?

ინფორმაცია ჰორიზონტი ევროპას პროგრამების და კონკურსების შესახებ ხელმისაწვდომია ევროკომისიის მონაცემთა გაცვლის ერთიან ელექტრონულ სივრცეში - დაფინანსების და ტენდერების პორტალზე

პორტალზე შესაძლებელია კონკურსების ფილტრაცია პროგრამების/ქვეპროგრამების და კონკურსების სტატუსის (მოსალოდნელი, ღია, დახურული) ოპციების მიხედვით.

საცნობარო დოკუმენტები ხელმისაწვდომია “Reference Documents” განყოფილებაში, შესაბამისი პროგრამის შერჩევით.

## რეგისტრაცია

საპროექტო წინადადების წარდგენისთვის აუცილებელია დარეგისტრირდეთ მონაწილეთა პორტალზე და მოოღოთ მონაწილის საიდენტიფიკაციო კოდი (PIC). შემდეგ თქვენი პროფილიდან გადახვალთ სასურველ კონკურსზე და დაიწყებთ საპროექტო წინადადებაზე მუშაობას (start submission). ინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში აუცილებელია მიუთითოთ ორგანიზაცია, რომლის ბაზაზეც იმუშავებთ. ამისთვის დაგჭირდებათ შესაბამისი ორგანიზაციის PIC ნომერის მითითება.

## კონსულტაციები

კონსულტაციებისთვის მიმართეთ ჰორიზონტ ევროპის საქართველოს ეროვნული ოფისის, ინოვაციური ევროპის მიმართულების კოორდინატორს: ზვიად მიმინოშვილს

მობ.: *599 26 03 77*

## ინოვაციური ევროპა

ინოვაციური ევროპის ქვაკუთხედი არსი ევროპის, ბაზრის შემქმნელი ინოვაციის, ლიდერად გადაქცევა. ეს არის ახალი ინფრასტრუქტურის, რეგულაციების, სამუშაო ადგილების წარმომქმნელი, მცირე და საშუალო მეწარმეების მხარდამჭერი სისტემა. ევროპის ინოვაციების საბჭო ინოვაციური ევროპის განხორციელების მთავარი ინსტიტუციაა, რომლის საინვესტიციო კაპიტალი 10,1 მილიარდ ევროს მოიცავს.

## ინოვაციური ევროპის მთავარი ინსტრუმენტები:

ევროპის ინოვაციების საბჭო (EIC): ხელს უწყობს ბაზრის გაფართოებას, მის ციფრულ ტრანსფორმაციას, რომელიც ევროპელ ინოვატორებს შორის ურთიერთქმედებისა და თანამშრომლობის საშუალებას აძლიერებს.

ევროპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტი (EIT): ეხმარება ბიზნესს, საგანმანათლებლო და კვლევით ორგანიზაციებს ევროპაში ინოვაციისა და მეწარმეობისთვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად. აერთიანებს ინოვაციების 3 მთავარ მოთამაშეს: ბიზნესს, განათლებას და კვლევას.

ევროპული ინოვაციური ეკოსისტემები (EIE): ავსებს EIC -ისა და EIT-ის მიერ განხორციელებულ ქმედებებსა და აქტივობებს.

მცირე და საშუალო საწარმოების აღმასრულებელი სააგენტო (EISMEA): ახორციელებს ევროპის ინოვაციების საბჭოს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამების მართვას. ფოკუსირებულია ინოვაციებსა და ერთიან ბაზარზე.

## ევროპის ინოვაციების საბჭოს (ეის/EIC) პრიზები

**ევროკავშირის პრიზი ინოვატორი ქალებისთვის**: 100 000 - 50 000 €

**ევროპული ინოვაციების დედაქალაქის ჯილდო (iCapital)**: € 1 მლნ

**ევროპული ინოვაციების შესყიდვების ჯილდო**: € 75 000 -დან - 25 000-მდე

**ევროპის სოციალური ინოვაციების კონკურსი**: 50 000 €